საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN17

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

6 დეკემბერი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. გიორგი ბარათაშვილი ; 9. დავით ცხადაძე;10. რუსუდან კოვძირიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან ვერულაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ბათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტ ეგიის დამტკიცების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-282233680 წერილი, 02/12/2022 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-282233689 წერილი, 02/12/2022 წ);

/ იმხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

სტრატეგია ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველ ოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქალის და ბამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე, განათლების, კულტურის და სოციალური მიმართულებით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. მომზადებულად ჩაითვალოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრ ეგიის დამტკიცების შესახებ".
მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

მოგახსენებთ, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოებისა და სამუშაოს აღწერილობათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ

სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე შესასრულებელი დავალებები რთული და მრავალფეროვანია. გამომდინარე იქედან, რომ კანონით დასაშვებია მხოლოდ ვაკანტური პოზიციის კორექტირება, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენლებაში და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსაურში არსებული ვაკანტური მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა დაკორექტირდეს-გარდაიქმნას მე-3 რანგის პირველი კატეგორიის თანამდებობად. .

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ, ნატალია ასათიანმა;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დასამტკიცებლად წარედგინოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

3. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, რომელიც შეეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცებას.

მომხსენებლის განმარტებით წესის მიღება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიის იერსახის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ სივრცეებში სისუფთავის დაცვას, მწვანე ნარგავების შენარჩუნებას და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე არსებულ პარკში, სკვერში-საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქ. თერჯოლის ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტროტუარებზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, რუსუდან კოვზირიძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: